საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030191682736320

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/14335 **13 / ნოემბერი / 2020 წ.**

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
კერძო სექტორთან ურთიერთობის სამსახურის
უფროსს ქალბატონ ლია ხუციშვილს

ქალბატონო ლია,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განიხილა თქვენი წერილი (N5/61237 09.11.2020წ.), რომელიც ეხება ორგანიზაციისთვის ა(ა)იპ ,,სტუდია ეიდისი'' ქ. თბილისში, დასახლება გლდანულა, კორპუსი N4-ის უკან მდებარე ფართის (საკ. კოდი. 01.11.05.003.074.01.500, 181.35 კვ.მ.) გადაცემის საკითხს.
გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ მისამართზე ა(ა)იპ „სტუდია ეიდისი'' არ არის რეგისტრირებული საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N670 დადგენილებით დამტკიცებული ,,სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2020 წლის სახელმწიფო პროგრამის'' რომელიმე ქვეპროგრამის მომსახურების მიმწოდებლად. შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს ზემოაღნიშნული უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემის საკითხი.
აქვე აღვნიშნავთ, რომ სამინისტროს მიერ მიღებულია გადაწყვეტილება, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართ(ებ)ის უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გარკვეული ვადით გადაცემა მოხდეს არა რომელიმე კონკრეტული ორგანიზაციისათვის, არამედ საჭიროებიდან გამომდინარე, სამინისტროს ან მისდამი დაქვემდებარებული შესაბამისი უწყებისათვის და მხოლოდ ამის შემდეგ შეირჩეს უშუალოდ სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაცია მათი გამოცდილების და მომსახურების სპეციფიკის გათვალისწინებით.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამილა ბარკალაია